№ 221 ოქტომბერი 15, პარასკევი 1893 ოქტომ[illegible]ი 15, პარასკევი № 221

ფოთი	მან.	ფ.	თბილისი	მან.	ფ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

[illegible]ის დასაკვეთად და ეკრძო განცხადებანი დასაბეჭდად უნდა მიეგზავნოთ: ოფიციალურ ადგილას, ეკუიაი ში, ავეშალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუშინსკეულის სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცხადებანი, სასაზოგადოებო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა და ისყიდება ყოველგან, ტფილისს, ქუთაისსა, ბათუმში და სხ.

ახალი წიგნი

სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს

(ლ. ტოლსტოიდან გადმოკეთებული)

მალაქია ბოლქვაძისა

ფასი ერთი შაური

ვისაც ოც ცალზედ მეტის ყიდვა ჰსურთ, მიჰმართონ ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიას ქუთაისში.

(3—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა ტომი I (ნაწილი 1 და 2-ე)

„შრომა კავკასიის მკურნალთა პირველის კრებისა“

(ხოლერა კავკასიაში 1892 წ.)

მიიღება ხელის მოწერა მთელს გამოცემაზედ. სულ 3 ტომი იქნება, თითო ეგზემპლიარი ეღირება 3 მან. ხელის მოწერა შეიძლება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მდივანთან (ტფილისი, ნაბერეჟნის ქუჩა № 6) და უმთავრეს წიგნის მაღაზიაში. (გოლოვინის პროსპექტი, იმ სახლის ქვემო სართულში სადაც ოლქის სასამართლოა).

(3—3)

ტფილისი, 14 ოქტომბერს

ქართველებისა და სხვა ტომის წარმომადგენელთა უხვმა შემოწირულობამ, ბათუმის სკოლის საქმე საფუძვლიან ნიადაგზე დაამყარა. ამიერითგან, უეშველია, ბათუმის სკოლას ადარა გაუჭირდება-რა და ასე გულ-მხურვალედ და ერთგულად დაწყებული საქმე დაგვირგვინდება ბედნიერად.

როდესაც ორს თვეზე ისეთ პატარა საზოგადოებაში, როგორიც არის ბათუმში, ექვსას თუმნამდე შეიკრიბა, მაშინ საგულისხმოა, რომ დანარჩენი ფულიც, რომელიც დასჭირდება სკოლის ასაგებად, მალე შეგროვდება.

კეთილად მოწყობილი სკოლა, რასაკვირველია, ძვირფასი და სანატრელი საგანია, და ყოველი ქვეყნის ერთგული კაცი მოგალეა შველოდეს სწავლისა და განათლების გავრცელებას ხალხში.

მაგრამ აქ ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ, სულ სხვა გარემოება, რომელიც დიდის ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია ყველა ქართველისაგან.

ბათუმის სკოლისათვის შემწირველთა რიცხვში, ჩვენ შეგვხვდა გარეშე ტომის გვარები. თავის წვლილის შეტანით ქვეყნის სასიკეთო საქმეში, ამ საპატიო კაცთა დაამტკიცეს, რომ ჩვენი ერი მათთვის გარეშე არ არის და ყოველი წარმატება ჩვენის ქვეყნისა ისე ძვირფასია მათთვის, როგორც მკვიდრ ქართველთათვის.

კაცმა რომ თავის ოჯახისათვის, თავის საზოგადოებისათვის და თავის ქვეყნისათვის იზრუნოს, ხარჯი გიღიოს, გაუზიაროს თავის შრომითა და ჯაფით მონაგარი—ეს სულ ჩვეულებრივი საქმეა—თუმცა დიდად მოსაწონი და საქები—ხოლო განსხვავებულის უურადღების ღირსია გარეშე კაცის თანაგრძნობა და პატივისცემა. ასეთს საქციელს ხალხი არასოდეს არ ივიწყებს და ჯილდო სიკეთისათვის დღეს თუ ხვალ უთუოდ მიზდული იქნება.

როდესაც ბათუმის სკოლის აშენება განიზრახეს, ზოგიერთნი აღსავსე უიმედობით ამბობდნენ, რომ „შენობა დაუსრულებელი დაგჩრება და სჯობს ისევ მცირე რამ გამოვიწყოთო“. მაგრამ გამოდგა, რომ ეს აზრი მართალი არა ყოფილა და ბათუმის ქართველებმა მხოლოდ ორის თვის განმავლობაში შესძლეს ექვსასი თუმანი მოეგროვებინათ. ხოლო ზედმეტის თანხის შესრულება, უთუოდ, ადარ გაძნელდება რადგანაც საფუძვლიანად დაწყებულს საქმეს დანარჩენი ქართველებიც მხარს მისცემენ და თითო-ოროლა გროშის შეწირვას ამ საქვეყნო საჭიროებისთვის არავინ დაიშურებს.

W.

ახალი ამბავი

*** შემდეგი წარმოდგენა ქართულის დრამატიულის დასისა იქმნება კვირას, 17 ოქტომბერს. წარმოსადგენად დანიშნულია ჩვენის საზოგადოების საყვარელი პიესა „სამშობლო“, განსვენებულის დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული. ლეონიძის როლს ასრულებს ბ-ნი კ. ყიფიანი. იმედია, ეს პიესა ჩვეულებრივ მიიზიდავს ქართველებს თეატრში.

*** 17 ოქტომბერს, დღის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია არჩევანი ტფილისის მოურავისა.

*** ინგლისის სამხედრო აგენტი ვატერი პეტერბურგიდან კავკასიაში გამომგზავრა.

*** მომავალ წლიდგან სასმელების დუქნების პატრონებს, რომლებიც აქამდე არაფერს იხდიდნენ, ქალაქმა დადო ხარჯად „ვაჭრობის და-გვარად გაწერილი აქციზი“ წელიწადში ოცი ოცი თუმანი. ამ მხრივ ქალაქის შემოსავალი სამას თუმნამდე იმატებს, რადგან ქალაქში 313-მდე სასმელების დუქანია. ეხლა ამ დუქნების პატრონებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას, რომ ეგ გარდასახადი მეტად სამძიმოა ჩვენთვის, მაგის გადახდის ღონე არ შეგვწევს და იძულებულნი ვიქმნებით დუქნები დავკეტოთო, და ითხოვენ, რომ კომისია დანიშნეთ, იმან გამოიძიოს რაოდენობა ჩვენის ვაჭრობისა და შემოსავალ-მოგებისა და იმის კვალობაზედ დაგვინიშნეთ გარდასახადიო.

*** 14 სექტემბერს ტყის გამშენებელ კომისიის თავმჯდომარემ ქალაქის კასსიდგან მიიღო 500 მანათი ზემოხსენებულ და ქალაქის გამგეობაში წინადადება შეეტანა, გაზეთებში განცხადება დაჰბეჭდეთ, რომ აღკრძალულია ნახირის გაყვანა იმ ადგილებზედ, სადაც ტყე უნდა გაშენდესო.

*** ხვალ იწყებს მუშაობას საქალაქო სამხედრო ბეგარის დაწესებულება ბ-ნ ქალ. მოურავის მოადგილის პ. ა. იზმაილოვის თავმჯდომარეობით. ამ წელიწადს სამხედრო ბეგარის გადასახდელად გაწვეული არის 440 კაცი. ამათ შორის კენჭსა ჰყრიან და მხოლოდ 46 იქმნება ჯარში გაყვანილი. შარშან საზოგადო რიცხვი გაწვეულთა შვიდასამდე იყო, წრეულს გაწვეულთა სიმცირე იმითი აიხსნება, რომ ახალის კანონის შემოღების გამო ამ ჟამად გაწვეულნი არიან მხოლოდ ისინი, რომელნიც 1872 წლის 1 იანვრიდგან 1 ოქტომბრამდე დაბადებულან.

*** ნიხრის დამნიშვნელმა კომისიამ საჭიროდ სცნო საქონლის გაიფების გამო ხორცის ნიხრი შეემცირებინა, ისე რომ ამიერიდგან ძროხის ხორცი, 7 კაპ. მაგიერ, ეღირება 6 კაპ. ცხვრის ხორცის ფასი-კი უწინდელივე დასტოვა. ეს ახალი ნიხრი ძალაში შევა 16 სექტემბრიდგან.

*** ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიჰმართა საერო განათლების მინისტრს და ჰკითხა, შეიძლება თუ არა კერძო მასწავლებლის მოწმობა მიეცეს საოსტატო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულთ. მინისტრმა უპასუხა, რომ კანონის ძალით კერძო მასწავლებლობის უფლება ეძლევათ მხოლოდ სამაზრო სკოლების სამსახურიდგან გადადგმულ მასწავლებლებს და ამიტომ კერძო მასწავლებლის მოწმობა უეგზამენოდ არ მიეცემა არავის, თუ გვინდა მთავრობელი უმაღლესს სასწავლებელშიაც იყოს სწავლა დამთავრებულია.

*** ს. ტ ი რ ძ ნ ი ს ი. (ქართლი): ტირძნისისა, ერგნეთის, ქორდისა და ერედვის საზოგადოებამ, რომელიც ათ სოფლამდეა და ათას კომლამდე, ამოარჩია მამასახლისად ახალგაზდა თავადი ს. მაჩაბელი.

ქართული თეატრი

სტუმარი, დრამა 2 მოქმ. ბრანდესისა, თარგმანი ი. მაკავარიანისა.

აირია მონასტერი, კომედ. 3 მოქმ.

ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარ-

ფელეტონი

ხვნა-თესვის საქმე ინგლისში

წერილი მეოთხე

(დასასრული)

— არის კიდევ ერთი მიზეზი ჩვენის მეურნეობის დაქვეითებისა. ეს მიზეზია ექსტენსებური, გაფართოებული ხვნა-თესვა და მეურნეობა ამერიკისა, ავსტრალიისა და აფრიკისა.

— პატარ-პატარა მამულის შემუშავებას ახლის წესით თქვენ ინტენსებურსა, გაძლიერებულსა და განკარგებულს მეურნეობას ეძახით. მაშ ეგ ექსტენსებური მეურნეობა რაღაა? ვკითხე მე ინგლისელს აგრონომს.

— ასე ვეძახით ჩვენ იმ მეურნეობას, რომელსაც მისდევენ ჩრდილო-ამერიკის დასავლეთს შტატებში, იქაურ უშველებელ მინდვრებსა და პრერიებზე. იქ მამულის გაპატიება ფიქრადაც არავის მოსდის. პირველი საქმე ის არის იქ, რომ მცირე შრომით მეგრი მოიპირნახულონ და მაშინები იხმარონ ყველაფერში, ხვნაა, თუ თესვაა, მკაა თუ ლეწვა. შტატებში: აიგვასა, მინესოტასა, მისსურესა, კანზასსა და სხვებშიაც ჰხედავთ თვალ-გადაუწვდენელ, დახნულ-დათესილ მინდვრებსა და აქა-იქ გაფანტულ ხის ფარდულებს სახნავ-სათეს იარაღისა და მაშინებისათვის და აგრედვე დიდს შენობებს მუშა-ხალხისათვის. როცა მკა დაიწყება, ამ მინდვრებს რომ თვალი მოავლო, ასე გეგონება აქ მშვიდნი მხვნელ-მთესველნი-კი არა მუშაობენო, არამედ ჯარი ტრიალებსო, ისე განაწილებული აქვს ყველას შრომა, კაცსაც და მაშინასაც, ისე სრულდება ყოველივე, წინად ნაფიქრი განკარგულება. ეს აუარებელი სიმრავლე მაშინებისა მკის, ჰკრავს ძნებსა, ჰლეწავს, ანიავებს და სულ რამდენიმე მუშა კაცი-კი სჭირდება; ამ მაშინების წყალობით იმოდენა პური მოჰყავთ და ისე იაფადაც ჰყიდიან, რომ ამერიკის პრერიების პურმა ლამის გააძეოს ბაზრებიდამ რუსეთის პურიცა, ჩვენი საკუთარიცა და დენაის პროვინციებისაცა... ასეა თუ ისე, ამერიკაზეა დამოკიდებული ესა თუ ის მაზანდა პურისა ჩვენსა და დასავლეთ ევროპის ბაზრებში.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ მაგისთანა მეურნეობა ხომ ძარცვაა და გავერანება მამულისა! მაგისთანა მეურნეობამ გამოუყია ღონე ვოლგის ნაყოფიერს მინდვრებს რუსეთში და მაგ მეურნეობამვე გააუდაბნოვა სამარის გუბერნია—ეს პურის ბოლაზი რუსეთისა. ეხლა იქ ხალხი თითქმის შიმშილით იხოცება.

— მართალი ბრძანებაა. გაფართოებულმა მეურნეობამ, როგორც ორმოც-და-ათიან წლებში ბაბის პლანტატორების მძარცველმა სისტემამ, გააევრანა იმ შტატების მამულები, საცა მონობა იყო. მაგრამ ჯერ ამერიკაში მამული ბევრია და ძლიერ ნაყოფიერი მამულიც არის. რაკი შრომა ნაკლები უნდება ხვნა-თესვას, მეურნე მცირე მოსავალსაც სჯერდება. იქ სამყოფად მიაჩნიათ, თუ კოდზედ 10 ან 8 კოდი მოუვიდათ, მაშინ როდესაც ჩვენში 18 ან 20 კოდიც რომ მოუვიდეთ, მაინც ხარჯს ვერ დაჰფარავენ.

— განა პურის მოყვანა აქ ისე ძვირად ჯდება, რომ ამერიკას, საცა კოდზედ 8 კოდი მოდის, შეუძლიან მოცილეობა გაუწიოს ინგლისს და მერე იქიდამ აქ გადმოტანის ხარჯიც აიტანოს?

— საქმე იმაში არ არის, თუ რა ჯდება მოყვანა პურისა. აი ციფრები და თქვენ თითონ განსაჯეთ. წლიური შემოსავალი ინგლისისა არის სულ 13.500,000,000 მან., რომელიც დაახლოვებით ასეა განაწილებული:

	მანათი.
მემამულეთა და ფერმერებსა . .	2,200,000,000
დიდს ფულსა და მონოპოლიტებს *)	2,700,000,000
ჯამაგირი მუშებსა ქარხანაში თუ ხვნა-თესვაში (ესე იგი ფასი წარმოებისა).	5,000,000,000
ეკერეგს, მოჰგელებს, თავისუფალ პროფესიის ხალხს. . . .	3,000,000,000
სულ	13,500,000,000

(იხილე „Anatomy of Misery“, გვ. 38).

ჩვენის შემოსავლის ნახევარზე ნაკლები იხარჯება საზოგადოდ წარმოებაზე, ხოლო ხვნა-თესვის საქმეში ამასთანავე ვამჩნევთ, რომ დღიური ფასი მუშა-კაცისა კლებულობს. ამ დღეებში დაიბეჭდა გამოკვლევა რიჩარდ ხიზისა (Cotemporary Reviev—„მეურნეობის დაქვეითება აღმოსავლეთ ინგლისში“). ამ გამოკვლევის ავტორს თვითონ დაუვლია ის პროვინციები, რომლის შესახებაც სწერს და საზოგადოდ კარგად აქვს შესწავლილი ჩვენის გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრება; მანვე დასწერა მშვენიერი „ისტორია ინგლისის გლეხ-კაცობისა“. ეს რიჩარდ ხიზი გვარწმუნებს, რომ 1873 წლიდამ 1890-მდე ნელ-ნელა კლებულობდა დღიური ფასი მუშა-კაცისა სოფლადაო. 1873 წელს მემამულეებსა და ფერმერებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ინგლისში ერგოთ 38,207,270 მან., ხოლო მუშებს და მოჯამაგირეებს—46,332,020 მან. სულ შეადგენს—84,539,290 მან. 1890 წელს შემცირდა 80,539,060 მანეთამდე. მაგრამ, როგორ გგონიათ, ეს შემცირება იგრძნეს მამულის პატრონთ?

— აღბად, ცოტაოდნად მაინც იგრძნობდნენ.

— არა. მამულის შემოსავალმა იმა-

---

*) მონოპოლია კანანით ინგლისში არ არსებობს. აქ მანოპოლისტს ივიგე აზრი აქვს, რა აზრითაც იყო ეს სიტყვა ნახმარები წერილში: „ბირეის ბატონები და მონოპოლისტები“.

ავტ.

მოადგინა ორ-მოქმედებიანი ახალი პიესა ბრანდეისისა, ი. მაჰავარიანის მიერ გადმოთარგმნილი, „სტუმარი“ და არა ერთ-გზის ნათამაშევი კომედია „აირია მონასტერი“.

პირველი პიესა მეტად ძნელი პიესაა და იმ რიგს პიესებისას ეკუთვნის, რომელსაც ამ ბოლოს დროსა სწერენ ევროპის თანამედროვე მწერალნი. პიესის ავტორები სკდილობენ პიესაში ახსნან და გამოარკვიონ რომელიმე ძნელი საკითხი, რომელიც ცხოვრების ჭირ-ბოროტს შეადგენს და რომლის გვერდის ახვევაც დიდად ძნელია. მაგალითებრ, რა არის შეცოდება დედაკაცისა ქმრის წინაშე, პატიოსნება ვის როგორ ესმის, მამა-შვილის დამოკიდებულება ხშირად როგორ არის გამწვავებული და სხვანი. ამიტომ ასეთს პიესებში უფრო ბევრია დამჯდარი, დალაგებული და ბრძნული მასლაათი, ვიდრე მოქმედება და მოძრაობა.

აი მოკლედ შინაარსი „სტუმრი“-სა: კარლ ნერგოსს (გუნიას) გაგიეგებით უყვარს თავისი ცოლი ფლორიზელი (ქ-ნი ავალიშვილისა), ერთის წლის შერთული, და ისიც თანაუგრძნობს. ორივენი სტკბებიან ტკბილის, მყუდრო ცხოვრებით და დასტრფიან თავისს პაწია, ახლად ნაშობს ბაღანას. ნერგოსი მოუთმენლად მოელის თავის ძველ ამხანაგს რეპელტს (სვიმონიძეს), რომელიც შორის გზიდგან უნდა მოვიდეს დანიის კუნძულზედ. აგერ მოდის კიდეც, იმისი ცოლი ფლორიზელი სარკმლიდგან დაინახავს და შეჰკივლებს „ის არისო“. ძველი მეგობრები ერთმანეთს კარგად დაუხვდებიან. რეპელტი უამბობს, რომ ამ ორის წლის წინად, წარმოიდგინე, ერთი ფრიად ლამაზი და მშვენიერი ქალი მოულოდნელად ჩამიარდა ხელში, დავსტკბი მისის სიტურფით, თუმცა-კი არ ვიცი ვინ არის, მაგრამ ისე მომეწონა, რომ თუ შეხვდა შევირთავ კიდეც, თუმცა ცოლ-ქმრულის კავშირისა დიდი წინააღმდეგი ვარო. ფლორიზელი ჯერ იგვიანებს გამოსვლას, მაგრამ ბოლოს ქმარს გამოჰყავს და გაიცნობს თავისს მეგობარს. საღილობენ. ცოლს როგორღაც არ მოსწონს თავისის ქმრის მეგობარი. ქმარი სადღაც მიდის. ესენი ერთად დარჩებიან და აქ გამოაშკარავდება, რომ სწორედ ფლორიზელი ყოფილი ის ქალი, რომელიც რეპელტს ხელთ ჰავარდნია. ყმაწვილი ქალი სთხოვს, წადი, გაგვშორდი აქედგან, რადგან მძულხარ და მეზიზღებიო. რეპელტს წასვლა უნდა. ქმარს აოცებს ეს ამბავი, ბოლოს ყველაფერს მიხვდება და უცნაური დამოკიდებულება ჩნდება ამასა და „საშინელს სტუმარს“ შორის. სტუმარს ისტუმრებს, მაგრამ ახლა თვითონ რა ჰქმნას? გაისტუმროს შემცოდე ცოლი, თუ დაიტოვოს? დატოვება ძნელია, რადგან იმასთან როგორ-ღა შეუძლიან ცხოვრება? გასტუმრება არა ნაკლებ ძნელია, რადგან, ჯერ ერთი, ფლორიზელს მაშინ შეუცოდნია, როდესაც მისი მეუღლე არ იყო—და შეუცოდნია თვისდა უნებურად—და მეორე—პაწია შვილი მეტად აკავშირებთ და ძნელია ამ კავშირის გაწყვეტა. ამ საკითხს იმითი სწყვეტავს ავტორი, რომ სასოწარკვეთილი ნერგოსი თავისს ცოლს ეუბნება, გადი შენს ყმაწვილთანაო.

არტისტებმა რიგიანად ჩაატარეს ეს პიესა, ცოტა რომ უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ორლოების ცოდნისათვის და შეთანხმებულნი ყოფილიყვნენ. ყოველი მათგანი ცალკე აღებული კარგი იყო, მაგრამ საერთოდ-კი იმათს თამაშს შალაშინი აკლდა. თითქოს ყველას ცალკ-ცალკე მოუმზადებია თავისი როლი და მერე უცბად შეყრილან ერთად სათამაშოდაო. განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი ავალიშვილისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ წარმოდგენებში ეს პიესა უკეთ ჩაიღლის და მითამაშეთაც უფრო მეწყობრი, შალაშინ-გაკრული თამაში ექმნებათ.

პიესამ „აირია მონასტერი“ დიდად ასიამოვნა საზოგადოება და ბევრიც აცინა. შინაარსით პიესა მაგდენი არაფერია, მაგრამ იმდენი კომიზმია შიგ, ნამდვილი კომიზმი, რომელიც თვით მომქმედთა მდგომარეობიდგან მომდინარეობს და არა არტისტთა ოხუჯ ლაპარაკისაგან,—რომ არტისტებს ფართო მოედანი აქვთ თავისი უნარი გამოიჩინონ. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ბ-ნი აბაშიძე იოთამის დისწულის როლში. გედევანიშვილმა საუცხოოდ ჩაატარა მოხუც ქალების მოტრფიალეს როლი. გუნია ნერგეს-აშლილს მწერალს უცხოდ თამაშობდა. კეთილ-სინიდისიერად შეასრულეს თავისი როლები ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ, ბ-ნმა კანდელაკმა და შათირიშვილმა, მხოლოდ კანდელაკსკი უნდა ვურჩიოთ, რომ თავისს ტანჩაცმულობას ყოველთვის დიდი ყურადღება მიაქციოს. ახალგაზდა არტისტმა მაქსიმიძის ასულმა მაროს როლში კვლავ დაგვარწმუნა, რომ დიდად სასარგებლო არტისტი-ქალი დადგება ქართულის სცენისათვის. კომედიამ საერთოდ ძალიან მწყობრად ჩაიარა და ამით კვლავ დასაბუთა ჩემ მიერ არა ერთ-გზის გამოთქმული აზრი, რომ ჩვენს არტისტებს კომედიის თამაშობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე დრამებისა, და ამის გამო საზოგადოებასაც პირველი უფრო მოსწონს. ერთი შენიშვნაც: სასამართლოს ბოქაული უფრო სამსახურიდგან გამოგდებულს შტაბის „მწერალსა“ ჰგავდა, ვიდრე ბოქაულს. კარგი იქმნება, რომ, ვისიც ჯერ არს, გარეგნობას უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს და აბრანძულ-დაბრანძული ტანისამოსში არავისა ეხედვდეთ.

გარდახვეწილი

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ს. ᲫᲠᲔᲓᲘ. მუდმივმა ჩივილმა სოფლის მოხელეთა უვარგისობაზედ და ბოროტ მოქმედებაზე არ ჩაიარა უნაყოფოდ და შემდეგი განკარგულება გამოიწვია მთავრობისაგან: რამდენიმე სამამასახლისო თავიანთის სურვილით აირჩევს ერთს, ცოტათ თუ ბევრად, ნასწავლს კაცს მამასახლისად, განურჩევლად წოდებისა.

ამით ორგვარი კეთილი საქმე ჩაიდინა მთავრობამ: ერთი ის, რომ სოფელს და მის აწეწილ-დაწეწილ საქმეს ეყოლება რიგიანი მცოდნე კაცი და კარგი წარმომადგენელი; მეორე ის, რომ მოხელედ ათასიანი გაუგებელის მამასახლისებისა და სოფლის მოხელების მაგივრად შეგნებულ კაცთან ექნება საქმე.

გვლები კაცი ყოველგან დიდს უარზე იყო და ერთსა და იმავეს გაიძახდა: არ გვინდა ახალი მამასახლისი, როგორც გვიწარავს, ისე უნდა ვსწიროთო. ამდენს ხარჯს ეგეც რომ მოემატოს, ჩვენ ტყავი გაგვძარებაო. ამას ჯანი გავარდეს, როგორც იქნება, გაუძლებთ, მაგრამ სად არის ახლანდელს დროში იმისთანა ღვთის ნიერი ადამიანი, რომ მე გამიტანოსო...

რამდენად სამართლიანია გლეხის ამ გვარი ჩივილი, ამას ახალ მამასახლისების მოქმედება და შედეგი აღმოაჩენს, ბრძანებლობით, „შენ-ჩემობაობით“ და ას-ორმოცის თუმნის სურვილით ამორჩეული მამასახლისი, ჩემის აზრით ვერაფერს ნაყოფს მისცემს ხალხს...

დიდ და უწმინდეს მოვალეობად მიმაჩნია ეს ახალი თანამდებობა. ხალხის გულ-შემატკივარი ბევრს საკეთილო საქმეს გააკეთებს, რომელიც სოფელს, და საზოგადოდ უსწავლელ კაცს არა გაეგება-რა. საჭიროა მხოლოდ, რომ მამასახლისობა ისეთმა კაცებმა იკისრონ, რომელთაც სოფლისათვის მართლა შესტკივათ გული.

რ. ერედველი

ᲤᲘᲪᲘ

—

მაღალმა ზენამ შემრისხოს,
დღენი შემექნას მწარადა,
თავზე დამეცეს ცა რისხვით,
ვიარო უბედურადა,

--

ჭკუით შევიქმნა შეშლილი,
ვეღარა ვცნობდე ჩემს თავსა,
ვეღარც სიცოცხლით ვხედავდე
მანათობელსა ვარსკვლავსა,

—

ვეღარც შევჭამო ნათესი,
ნაღვაწი კეთილ შრომისა,
ჩემ ძმებთან მკედარად შევიქმნა
უმზგავსი გავხდე ქვეყნისა,

—

შხამად და ბრაზად გადმექცეს
ამაგი ჩემის მშობლისა,
სამშობლო მიწამ შემრისხოს,
საპალნე გავხდე ქვეყნისა.

—

სახით გადვიქცე იუდა,
ავივსო გველის შხამითა,
არც მკვდარს ვემეზავსო, არც ცოცხალს,
თუ ძმას ვუმტყუენო გულითა,

—

თუ რომ მინდოდეს ძმის წყენა,
ვერ გავიხარო სულითა,
თავს მეხი რისხვით დამეცეს,
ავივსო წყევა კრულვითა,—

—

თუ არ მიყვარდეს საწყლები,
ბედისგან დატანჯულები,
თუ მათი კვნესვა მე გულით
არ აღვიშალო წყლულები,

—

თუ ძმურათ მხარი არ მივცე
საერო ქვეყნის ბრძოლაში,
თუ არ გავწარო სიცოცხლე
მამულის აღდგენაში.

გიორგობა ოვანიშვილი

1892 წ.

ᲩᲕᲔᲜ ᲤᲣᲚᲗᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ?

(ბროსეს სახელობაზე შემოწირულ ფულის გამო)

—

ამ ათი-თერთმეტი წლის წინად ჩვენის ლარიბ ჯიბიდგან თითო-ორორი გროში ამოვიღეთ მაშინდელ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს გავუგზავნეთ,—ვთხოვეთ, საქართველოს ერთი მადლიანი კაცი აღმოუჩნდა, რომელმაც ჩვენი ძველი ისტორია, ძველი ცხოვრების მოთხრობა დავიწყების უფსკრულიდგან ამოიღო, ჩვენი ერის წარსული სვე-ბედი ქვეყანას ამცნო; გამართეთ ხელის მოწერა, ეგებ ამ კაცს ან ძეგლი, ან სხვა რამ სახსოვარი ავუგოთ თქო. განსვენებული სერგეი მესხი გულმხურვალედ მოეკიდა საზოგადოების წმინდა სურვილს და ხელის მოწერა გამართა; იმ ხანებში ავად გახდა და გაზეთის გაყიდვა მოინდომა. სხვებს ივანე მაჩაბელმა დაასწრო და იყიდა „დროება“. ექვსს მანეთამდე მოგროვილი ფული მესხმა მაჩაბელს გადასცა. ეს გადაცემა იმას ნიშნავდა, ცხენის რკინის-გზები, ამ 50 წლის წინად საცოდავს სოფელსა ჰგავნდა და შიგ მხოლოდ მადნის მთხრელთა ქოხ-მახები იყო. აგრედვე კაპიტატი, სიდნეი, ორანტო ჭ სხვა... ყოველივე ესე ჩვენის გადასახლებულების ნამოქმედარია. ეს არის მიზეზი, რომ გულს არ ვიტეხთ, დღევანდელს ჩვენს გაჭირვებას რომ ვხედავთ. ერთის კუნძულის მაგიერად ევროპაში, ჩვენმა ჯან-მაგარმა, შეუშდრკალმა კერძო თაოსნობით-მოსილმა და თვითმომქმედმა მუშა-ხალხმა შეგვძინა ჩვენცა და განათლებულს კაცობრობასაც მრავალი სხვა ქვეყნები, სავსენი აუარებელისა და დაუშრეტელის სიმდიდრითა.

საკვირველი ის არის მერე, რომ სწორედ ჩვენი გლეხ-კაცი მიხდა ყველაზედ უკეთ, რომ ამერიკა, თუ ავსტრიალია, ან კანადა მოცალეენი არ არიან ინგლისისა, არამედ იგივე ინგლისია თავის თავისუფლებითა, მხნეობითა და მეცნიერებითურთ. „როცა ლაპარაკობენ, რომ უცხოელნი მოცალეობას გვიწევენ თავიანთი იაფ ფასიან პურითაო, უთხრა თურმე რ. ხიზს ერთმა გლეხ-კაცმა, გამგებელმა სოფლის საზოგადო დუქნისამ (კოოპერატივისამ), მე ყველას იმას ვეუბნები, ვინ უცხოელნი არიან მეთქი ეგ უცხოელნი. განა ჩვენივე სისხლნი და ხორცნი არ არიან ის ვაკკაცნი მეთქი, რომელთაც მოჰყავთ ამერიკაში აგრე იაფად პური?“ მეორე გლეხ-კაცი, ღრმად მოხუცებული, დიდის გულ-მოდგინებით ჰყრიდა ხეხილს სალაო მამულში. მოხუცებულს უთხრეს, ტყუილად სკდილობ, შენ ველარ მოესწრები მაგ ხეხილის ნაყოფსაო.

— რა არის მერე? სხვა ხომ იგიმებს. მუდამ ისე უნდა ვშრომობდეთ, ვითომ ვგვონია, რომ ერთს ათას წელიწადს კიდევ ვიცოცხლებთ და დავსტკბებით ჩვენის შრომის ნაყოფითაო.

— ძალიან კარგი და პატიოსანი. მეც ვიცი თქვენის ერის ხასიათი და თვისებანი. თქვენი ახალშენები სდუღს და გადმოდღუს. თქვენ შეჰქმენთ შერთებული შტატები, ავსტრალია, კანადა ახალშენნი, კანადა... გარნა თვით მეტროპოლიაში, ამ ოდესმე მხიარულს ინგლისში (merry England), მინდვრები ვერაფდება, გლეხკაცობა ღარიბდება. სად არის ხსნა? ყველა ხომ ვერ გადასახლდება თავის სამშობლო ქვეყნიდამ?

— არა, დიადაც რომ არა. მაგრამ ხსნაც არის. ქვეყნის ჭკუა და გონება პრაქტიკულად უახლოვდება მაგ გზას თავის დახსნისას. ჩვენ ადათისა და ჩვეულებრივის მართლიერების მიმდევარნი ვართ და რომაულს მართლიერებს ბევრს არას დავეძებთ. ჩვენ უფო საქმე გვწამს, პრაქტიკული საქმე და მოქმედება, ვიდრე დოქტრინები და სისტემები. ამ შემთხვევაშიც ჯერ ჩვენ სისტემა არა გვაქვს შემუშავებული. პრაქტიკული მოქმედება და ცდა გაჭირვებიდამ თავის დახსნისა-კი ჩვენში ათასია. დავსახელებ უფრო შესამჩნევს მათ შორის. დაფუძნება და გაშენება სასოფლო ახალშენებისა E. Simon-ის სისტემით *); ამ საქმეს მისდევს პოლკოვნიკი პური სერ ჯონ გორსტის მფარველობით; ახალშენები საზოგადოებისა, რომელსაც სახელად ეწოდება „შინვე დასახლება“, მამულების დარიგება გლეხთათვის „საკომლოთა საზოგადოების მიერ“; მრავალი საზოგადოებანი, რომელთაც აზრად აქვთ განაკარგონ ყოფა-ცხოვრება ჩვენებურ მხვნელ-მთესველთა; კავშირი და ამხანაგობა რამდენისამე ასი ათასის სოფლის მუშა-კაცთა, ქადაგება საზოგადოებისა, რომელსაც ეწოდება საზოგადოება მამულების გადაქცევისა ერის კუთვნილებად (ნაციონალიზაცია ადგილ-მამულისა); ამ საზოგადოების აგენტები ასობით დადიან აქეთ-იქით დიდ წითელ ფურგუნებით და არიგებენ წიგნებს მუქთად და სხვა ამისთანები. ყოველივე ესე დიდი საქმეა, დიდი ამბავია და ამაზედ საჭიროა ცალკე მოვილაპარაკოთ, თორემ ეხლა ძლიერ შორს წაგვიყვანს. ასეთი ცდა და მოქმედება საზოგადო რეფორმების სფერაა. საზოგადოდ, ყოველ გვარი ჩვენი წესწყობილება, თუ საპოლიტიკო, თუ სამრეწველო და სამეურნეო დიდს რყევასა და ეჯუმანშია. დადგა ფრიად ღირს-შესანიშნავი და დიდ-მნიშვნელოვანი წამი; მაჯა ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა სცემს აჩქარებითა და გამწარებით. წარმოიდგინეთ, რომ ყველგან, საცა-კი ქვა-ნახშირის მადნებია, ასი ათასნი მადნის მთხრელნი, არა თუ გაიფიცნენ, არამედ პირ-

ტა 38 მილიონიდამ თითქმის 48 მილიონამდე (47.689,870), ხოლო დღიური ფასი შემცირდა 46 მილიონიდამ 33-მდე (32.849,190).

— აგრეთი შემცირება სოფლის მუშა კაცთა ფასისა, წამოვიძახე უნებლიედ,—ხომ ხალხის გამრავლებასაც შეაფერხებდა, ხომ ბის საეკონომიო და სოციალურ წეს-წყობილებასაც ასე თუ ისე შეარყევდა...

— აკი აგრეც მოხდა... ჩვენი სოფლები ცალიერდება; ჯან-საღი ხალხი და ახალგაზდობა ეტანება ქალაქებს, მიდის ავსტრალიას, კაპის ახალშენს, კანადასა და ამერიკაში. ეს ამბავი ცნობილია ოფიციალურად და შემოწმებულია კერძო საზოგადოებათა ცხოვრების გამოკვლევითა. ეს სიცოცხლით სავსე და მხნე სოფლელნი ანებებენ თავს სამშობლო ქვეყანას და აჩენენ მშვენიერს ახალშენებს, სისწრაფით აშენებენ ისეთს ქალაქებს, საცა ცხოვრება ბევრად უფრო მოხერხებულია, ვიდრე სამშობლო ქალაქებში. მელბურნი, საცა ეხლა 400,000 მცხოვრებია, საცა უნივერსიტეტია, მუზეები, ელექტრონის განათება, სასეირნო ბაღები, საზოგადო და უსასყიდლო

*) საფრანგეთის კონსული, რომელიც 20 წელსა სცხოვრობდა ჩინეთში, ავტორი თხზულებათა „ჩინური ქალაქი“. „ფრანგული ქალაქი“, „მამულნიდ და მამულის შემწეობით“.

ხელის მოწერა განაგრძე, რომ შემოწირულობა გავრცელდესო; და თუ ამას არ იკისრებ, ამ ფულს მისი გზა ჩვენეო, ესე იგი ან თავიანთ პატრონებს უნდა დაბრუნებოდა და ან მაშინვე რომელიმე ბანკში უნდა შეტანილიყო ბროსსეს ფონდათ. ათის წლის სარგებელი ხუთას მანეთს ზედ დასძენდა, ასე რომ დღეს ათას მანათამდე გვექმნებოდა.—რატომ ი. მაჩაბელმა არ ინება და ეგრე არ მოიქცა? რატომ თავ. მაჩაბელი ათის წლის განმავლობაში გაჩუმებული იყო? ღმერთმა აშოროს, მაგრამ ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ: ივ. მაჩაბელს რომ რამ შემოხვეოდა, ხომ დაიკარგებოდა ფული? ვის მოვთხოვდით? ან ვის ჰქონდა ამისი ვექსილი? რატომ მაჩაბელმა ერთი კრინტიც არ დასძრა, მინამ მ. ღამბაშიძემ და ილია ჭყონიამ გაზეთის საშუალობით ქვეყანას არ შეატყობინეს და დანა ყელზე არ დაბაჯინეს, რა უყავ ჩვენი ფულიო? ვინ დაუჯერებს მაჩაბელს, ათის წლის მანძილზე ორიოდე წამი ვერ იშოვა თავისუფალი, გაზეთის შემწეობით ემცნო საზოგადოებისათვის, თქვენი ფული ჯერ კიდევ ჩემ ჯიბეშიაო.

ბ-ნ ივ. მაჩაბელმა ილაჯი წაიღო: ხალხნო, ყურებიდამ ბამბა გამოიძრეთ და ისმინეთო, მე კარგი, პატიოსანი, მუყაითი საზოგადო მოღვაწე ვარო.—კარგმა საზოგადო მოღვაწემ საზოგადო ფულისა, საზოგადო კუთვნილებისა დანაშნულებაც კარგად უნდა იცოდეს. რანება ჰქონდა ბ-ნ ივანე მაჩაბელს, რომ ათის წლის განმავლობაში ჩვენ ფულსა ჯიბეში ინახავდა და არ აცხადებდა? ქართველიშვილს, სარაჯიშვილის ფულიც მმართებსო, უსარგებლოდ მასესხესო, როცა მექნება მაშინ მივცემო. თ. მაჩაბელმა ბ-ნ სარაჯიშვილსაც და ქართველიშვილსაც ალბათ, სთხოვა ფული, იმათაც ასესხეს და თან ვექსილიც გამოართვეს. ჩვენ, საზოგადოებას, როდის-ღა დაგვესესხა ბ-ნი მაჩაბელი, რომ ჩვენი ფული, ჩვენდა უკითხავად, უფექსილოდ ხელში ჩაუდგია და ყური წუყურეტია კიდეც? თ. მაჩაბლის წიგნიდამა სჩანს, რომ

ის კერძო და საზოგადო ქონებათა შორის არავითარ საზღვარს არა სდებს. ბ-ნ ჭყონიას და მამა ღამბაშიძეს რომ არ ეკითხნათ მაჩაბლისათვის, სად არის ჩვენი ფულიო, ხომ მომავალშიაც ვერას გავიგებდით? ეგებ ბ-ნ მაჩაბელმა ბრძანოს, მე თითონ გამოვცხადებდიო; მაგრამ რამ დამაჯეროს? ათის წლის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს, და ათის წლის შემდეგ სული წმიდა ჩაგონებდა და ამხილებდა ჩვენი ორიოდე გროშის ბედს?

რა საბუთი მოგვცა თ. მაჩაბელმა, რომ დავუჯერ ოთ? ვისაც საზოგადო მოღვაწეად მოაქვს თავი, ის აგრე არ იქცევა, და თუ ეგეთ საქმეს ჩაიდენს, ხმა უნდა გაკმინდოს, საზოგადო ასპარეზიდგან გადადგეს. საფრანგეთის და პანამის მაგალითი წინ გვიდგია. საფრანგეთი დიდი და ღიდებულია; ჩვენ-კი ერთი მუჭა ხალხი ვართ, პატარა საქმეები გვაქვს, პაწია ინტერესები,—მაგრამ ისეთივე მუყაითობა გვმართებს, როგორიც სხვებს.

ბუნებითი და საზოგადოებითი კანონები ერთი და იგივეა დიდისათვისაც და პატარასათვისაც.

ᲮᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საფრანგეთის დღესასწაულები, რუსეთის ესკადრის მისვლის გამო, „მართებლობის მოამბეშიც“ არის აწერილი.

მარტო საფრანგეთის ქალებმა-კი არ გამოუცხადეს რუსეთის აფიცრებს თანაგრძნობა საჩუქრების მირთმევით, საფრანგეთის ბავშვებიც გულ-მხურვალედ მიეგებნენ ამ ამბავს, რომლის მაგალითი ისტორიაშიც არ მოიპოვება—ამბავს ორის ერის დაახლოვებისას.

5 ოქტომბერს პეტერბურგის ვაჟთა და დედათა სასწავლებლებს მრავალი ღია წერილი მოუვიდათ საფრანგეთიდგან მოსწავლეთაგან და ძმურს სიყვარულს უცხადებდნენ რუსეთის სკოლებში მოსწავლეთ. ამასთანავე წერილები მისვლიათ რუსეთის სხვა ქალაქების სასწავლებლებსაც. აი ამისთანა წერილის შინაარსი:

როგორც ერთგული მტრედი მიჰფრინავს შორს, მიუხედავად ციხე-ბორცვისა, სადაც მიჯნური ეგულება, ისე ეს მხუბუქი ფურცელიც დაეშვა თქვენს ცას ქვეშე და გარდაიქცეს ნიშნად ჩვენის ძმურის სალამისა. ახალგაზდა მოსწავლენო, თქვენსკენ მოგვიპარია თვალი და ჩვენი გული გიწევთ თქვენ ჩვენთა უფროსთა დღესასწაულზედ. მოგვირთმევია სალამი, შორეულნო ამხანაგნო. დღეს ერთი და იგივე ფაალი ჩვენს ნავთ-სადგურში თქვენსა და ჩვენს გემებს ერთად აკანავებს. ჩვენ-კი მორჩილნი ჩვენთა მასწავლებელთა, ვშრომობთ და ვფიკრობთ იმისზედ, თუ ხვალ რა იქმნება. და შეიძლება ახლო იყოს ის დღე, როდესაც ჩვენ ერთმანეთს გულმხურვალედ ჩამოვართმევთ ხელსა.

სწავლა-განათლების მინისტრმა საფრანგეთის მოსწავლეთა წერილები წაუკითხა პეტერბურგის საშუალო სასწავლებლების შეგირდებს და შემდეგ დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის სწავლა-განათლების მინისტრს და მადლობა შეუთვალა საფრანგეთის მოსწავლეთ ძმურის და მეგობრულის გრძნობის გამოცხადებისათვის.

გაზეთი „Новости“ ამბობს:

მართლა რომ მოზარდი ახალგაზდობა მოწმეა არა ჩვეულებრივის გულითადის თანაგრძნობისა საფრანგეთისა და რუსეთს შორის. ახალგაზდობა დინერგავს გულში კეთილს გრძნობას, რომლითაც გატაცებულია დღეს ორივე ერი, მიუხედავად სიშორისა, მოდგმისა, სარწმუნოებისა და ენისა. მშვიდობიანობის სიყვარული, ერთმანერთის ნდობა და პატივისცემა ორთავ ერისა, მათი ძმური შეყრა და დახვდრა კეთილად იმოქმედებს ახალგაზდობის გულსა და გონებაზედ. ეხლანდელნი მოზარდნი შემდეგ, როდესაც დავაყაკცდებიან, დასაბულებენ იმათ შობილთა მიერ დაწყებულ საქმეს. რუსეთსა და საფრანგეთს საბუთი აქვთ თავი მოიწონონ იმით, რომ იკისრეს მეთაურობა კაცობრიობისათვის ფრიად საკეთილო საქმეში.

**

რუსეთის გაზეთებს „С.-Пет. В.-ის და Гражд.“-ს ხელი-ხელს გადაუხვევიათ და ამტკიცებენ:

აღტაცებული ფრანგები ამ ჟამად იძახიან: „Vive la Russie“, vive le Tzar“! (გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს მეფეს!) ეს ამბავი ნათლად ამტკიცებს, რომ ფრანგების გულში ისევ ღვივის და არ

რუსეთი

განზრახვა აქვთ ეხლანდელ დედათა პროგიმნაზიების მაგიერ დაიარსონ დაბალი სასწავლებლები—მარიამისა. ამ სასწავლებლებში ფრანგულისა და გერმანულის სწავლება არ იქმნება. ეს სასწავლებლები არსდება დაბალ წოდებათა ქალთათვის. გარდა ამისა დედათა სამინისტრო გიმნაზიები გადაკეთდება იმპერატრიცის მარიამის უწყების გიმნაზიებად. ეს გიმნაზიები დაარსდება უმაღლეს წოდების ქალთათვის. ამ გიმნაზიებში ასწავლიან ფრანგულსა და გერმანულს. განზრახვა აქვთ აგრედვე კერძო მასწავლებლებისა და აღმზდელის უფლება მიანიჭონ შემდეგ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულ ქალებს: 1) დედათა გიმნაზიებთან დაარსებულ იმ საპედაგოგიო კურსებში სწავლა დამთავრებულთა, სადაც პირველ დასაწყისი სკოლებია პრაქტიკისთვის; 2) პეტერბურგის საპედაგოგიო კურსებში სწავლა დამთავრებულთა; 3) უცხო ენების შესასწავლად დაარსებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთა; და 4) იმ უმაღლესს კურსებში სწავლა დამთავრებულთ, რომლებიც უნივერსიტეტის მსგავსად არიან მოწყობილნი.

უცხოეთი

საფრანგეთი. მარშალი კანროგერი სადღესასწაულო მუნდირით და

ნანსიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეზერი 11 ოქტომბერს ჩაადგრებს მორენჰეიმს რუსეთის იმპერატორისათვის მისართმევად ოქროს წიგნს ლოტარინგიის სახელით. ეს წიგნი ხელოვნურად არის გაკეთებული, შემკულია სურათებით, შიგ აღრესია ჩაწერილი და წონით 60 კილოგრამია (146 გირვანქამდე)

—

რუსები აღტაცებულნი არიან საფრანგეთის სამხედრო გემების სიმშვენიერით, რომლებსაც ეხლა თავი მოუყრია ტულონის ნავთ-სადგურში.

ამდენ სამხედრო გემების ნახვას ჩვენი თვალი შეჩვეული არ არისო, იწერებიან ტულონიდგან. ერთ მწკრივად სდგას გემები, რომლებიც რეზერვშია ჩარიცხული. მეორე რიგს ის უშველებელი სამ და ოთხ იატაკიანი გემები შეადგენენ, რომლებიც ეხლა მხოლოდ ჯარის კაცების მოგზაურობისათვის არიან დანაშნულნი და დადიან საფრანგეთსა და ინდოეთ, კოხინხინ, სიამსა და ჩინეთს შორის. კიდევ ერთი მწკრივი გემებისა, რომლებიც სპატიმროებად გარდაუკეთებიათ. ახალი სამხედრო გემები მეტად მშვენიერის შეხედულობისა არიან. გერმანიის გემები დიდია, ხოლო უშნო და დიდ ვარცლს უწოდებენ. ჩვენი გემები კარგად არიან მოწყობილნი, ხოლო სილამაზე აკ-

---

დაპირ აჯანყდნენ: სწვავენ მაშინებს, საწყობთ, გამგეობათა შენობებს; რამდენჯერმე მოხდა ჩხუბიცა, შებრძოლება პოლიციასთან, ჯართან, რამდენიმე კაცი მოკვდა კიდეც... ამავე დროს ლორდთა პალატამ 419 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41 უარ-ჰყო ჰომრული... ევროპაში, მეტადრე საფრანგეთსა და გერმანიაში, ქვეყნის გამგებელნი და მესვეურნი თავ-გზას დაჰკარგავდნენ და გაჟეტრებდნენ საქმეს ყვირილით, ქვეყანა იღუპებაო. ჩვენშიღა? შეგნიშნეთ განა თუნდ მცირეოდენი აღელვება და მოუსვენრობა? არც მწერლობას, არც მიტინგებს ოდნავაც არ ეტყობათ, რომ თავ-გზა დაჰბნეოდეთ. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ მადნების პატრონები ისევ მოუმატებენ მუშებს დღიურს ფასს და მშვიდობა კვლავ ჩამოვარდება მადნის მთხრელ მუშათა შორის; საზოგადოებამ ისიც კარგად იცის, რომ ლორდთა პალატის გარდაწყვეტილება მხოლოდ მცირეს ხანს დაიყოვნებს ირლანდიის განთავისუფლების საქმეს და რომ ახლო მომავალში გლადსტონის აზრი გაიმარჯვებს, რადგან საზოგადოების ცნობიერება

და ჭკუა-გონება, დამშვიდებულის სურვილით მოსილი, იხოულობს ამ განთავისუფლებას.

— დიდ, მართალსა ბრძანებთ, ვუპასუხე მე. სწორედ გასაოცარია ის თავდაჭერილობა და გულ-დამშვიდება, რომელსაც იჩენენ თქვენში საბოლოო ტიკო და საზოგადო მოღვაწეობის კაცნი. იქ ბრძოლაა, სისხლი იღვრება და ამავე დროს რადიკალ კლუბების ფედერაცია,—მერე თუ არ ათაასობით, ასობით მაინც არის ამისთანა კლუბები,—ერთხმად ამტკიცებს, დავეცმაროთ ფულით მემამხეთაოო; ამავე დღეს ყოველად ძლიერი თქვენებური საზოგადოება Trades-Unions იკრიბება და ხმის უმეტესობით სწყვეტავს, საზოგადო უნდა იყოს საკუთრებაო... საქმე ასეი და არსად-კი არც შეშფოთება, არც შიში... თქვენ როგორ გგონიათ, თანაგრძნობას გაუწევს თუ არა მხვნელ-მთესველი ხალხი მაგ გადაწყვეტილებას, რომ საკუთრება საზოგადო იყოსო? ან როგორ იმოქმედებს მაგნაირი გადაწყვეტილება თქვენს მეურნეობასა და ხვნათესვაზედ?

— ძნელია კაცმა გადაჭრითა სთქვას მაგის პასუხი. წინდაწინვე ვერავინ

მიხვდება, რით გათავდება საქმე: კოლექტივიზმით, ადგილ-მამულის ნაციონალიზაციით, თუ საკომლო მამულების შესყიდვით, როგორც რუსეთში მოხდა ბლეთთა განთავისუფლების დროს. კერძოდ მე-კი და ბევრი ჩემი მეგობრებიც იმ აზრისანი ვართ, რომ ეხლანდელი კულტურა ბევრს ისეთს რამეს გვავალებს, რასაც აუცილებლად უნდა დავემორჩილნეთ. თუ არ დავემორჩილებით, სიღარიბესა და სიბნელეს ვერ ავცდებით.

— რას გვავალებს მაინც?

— გვავალებს, პატარ-პატარა მამული შევიმუშავოთ განკარგებული წესით და ისე ვიხმაროთ მაშინები, როგორც გაფართოებულ, ექსტენსიურ მეურნეობაში ხმარობენ. კერძო საკუთრება იქმნება მამული, თუ საზოგადო, მაინც საჭიროა გულმოდგინე შემუშავება პატარ-პატარა ნაგერ მიწისა, რაიცა თითოეულ ოჯახისთვის ხელ-მისაწდომია. რაიცა შეეხება დიდ სამკალ ან სათიბ მაშინის შემოღებას, დიდ სალეწ მაშინას, წისქვილს, ესენი კერძო ოჯახს არ შეუძლიან შეიძინოს და ან სწორედ ეს საქმე, აგრეედვე დაზღვევა მოსავლისა სეტყვისა და ცეცხლისაგან,

საქონლისა—ჭირისაგან,—უნდა იტვირთოს საზოგადოებამ, სოფელმა, ან რამდენმამე სოფელმა ერთად.

— როგორ გგონიათ, ეგე ყოველივე ყველგან არის მოსახერხებელი... აი თუნდ საქართველოშიაც?

— საქართველო ხომ ძლიერ ნაყოფიერი ქვეყანაა?

— იქაური ერი ამბობს, რომ ქრისტე ღმერთმა აქ, ჩვენში, დაიბერტყა თვისი კალთა უხვებისაო.

— ჰო და, საცა ეგ მომხდარა, იქ უხვადვე იქმნება დათესილი კაცთმოყვარება და გრძნობა ძმობა-ერთობისა... ამისთანა ქვეყანაში ახალი კულტურა ფეხსაც მოიკიდებს და აყვავდება კიდეცა. ხოლო ეს უნდა იცოდნენ ქართველებმა, რომ ახალი კულტურა თითო-ოროლას არაფერს სარგებლობას არ მისცემს. როცა მეზობლები ლარიბნი არიან, ერთს კაცს, რაც უნდა მდიდარი იყოს, არ შეუძლიან გაჰმართოს თავისთვის ცხენის რკინის გზები, რკინის გზა; როცა მეზობლები უმეცრებით არიან მოცულნი, თითო-ოროლას არ შეუძლიანთ გაჰმართოს თავიანთთვის მუზეები, სამკურნალონი, ბიბლიოთეკები, დააარსონ ჟურნალ-გაზეთები. ხოლო,

მრავალ ორდენებით შემკობილი მიეგება ადმირალ აველანს. კანრობერმა სთქვა, რომ ყირიმის ომის დროს ის განცვიფრებული იყო რუსთა სიმამაცით და გმირულ სულოვნებით; როცა გავიცანი რუსეთის მრავალი აფიცერი, მე პატივისცემა და სიყვარულიც ვიგრძენ რუსეთის ჯარისადმი; ვფასებ მკვიდრ თანაგრძნობას რუსთა საფრანგეთისადმიო. მარშალმა მოიგონა, რომ იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან მეგობრობა მქონდაო.

აველანმა გულმხურვალედ გადუხადა მადლობა მარშალს, რომელმაც ყველა აფიცრებს ხელი ჩამოართვა და შემდეგ ამისა, კანრობერი მალე წვიდა სამხედრო კლუბში აველანისთვის ვიზიტის გარდასახდელად.

—

თუ მეზობლები შეძლებულნი და განათლებულნი გაავთ, ყველაფრის გაკეთებას შეიძლებთ და სიცოცხლე ნეტარებად გადიქცევა. აიღონ საქართველოს უკეთესმა შვილებმა და დაიწყონ გავრცელება განათლებისა და ახალის კულტურის ცოდნისა, ასწავლონ ერს, რომ ის მაშინებელ, რომელიც ერთისთვის ხელ-მიუწვდომელია, მთელის სოფლისთვის ადვილი შესაძენია, რომ ჩარჩები, რომელნიც ადვილად ატყუებენ ერს მოსავლის გაყიდვის დროს, ვეღარ ინავარდებენ მაშინ, როცა ელევატორები და საწყობნი დაარსდება. ვისაც სიკეთე და ბედნიერება უნდა თავისთვის, იმას მეზობლებისათვისაც არ უნდა შურდეს იგივე სიკეთე და ბედნიერება. სიყვარული მეზობლებისა—აი წყარო ძმურისა, განათლებულისა და ბედნიერის სიცოცხლისა. და თუ მართლა, ერის თქმისა არ იყოს, მაცხოვარმა საქართველოში დაიბერტყა თვისი კალთა უხვებისა და სიყვარულისა, მაშინ ქართველი ერი მხარი-მხარს მიცემითა და ერთობილის მეცადინეობით ისე გაითქვამს სახელს ზნეობრივის სიტურფით, როგორც განთქმული სიტურფე და სილამაზე იმათ ქალთა და დედათა.

W. Vasiani

ლიათ. საფრანგეთის გემები-კი, საკაპრონი თუ სამხედრონი, კარგ მოწყობილობასთან მეტად მშვენიერის სანახაობისანი არიან, ვერ დასტკბება კაცი მათის ცქერით.

—

საფრანგეთის და რუსეთის მეზღვაურნი ძალიან დამეგობრდნენ. წყვილ-წყვილად დადიან ქეჩებში, ყავახანებში, საქეიფო ადგილებში და სვამენ საფრანგეთისა და რუსეთის სადღეგრძელოს. რუსეთის მეზღვაურნი ისე გრძნობენ თავს, როგორც თავიანთ სახლში. ერთ ყავახანაში რუსმეზღვაურს მეგობრულად მიეგება ხალხი; იმანაც ჩამოუარა ყველას, ხელი ჩამოართვა და ქალებს აკოცა.

—

ინგლისი. ნაციონალ-ლიბერალთა კლუბის საპოლიტიკო დასს განუზრახავს დააარსოს მოძრავი ბიბლიოთეკა დაბა სოფლებისთვის. თითო სოფელში გაგზავნიან ხოლმე 50—100 წიგნსა და დრო და დრო წიგნებს გამოსცვლიან ხოლმე. ზემოხსენებულ კლუბს ლიბერალურ აზრების გარდა საზოგადოთ სწავლა-განათლების გავრცელებაცა აქვს საგნად. წიგნების გაგზავნას და ამ გვარ ბიბლიოთეკების მართვას უფალდოდ კისრულობენ ამ კეთილ საქმის დამწყობნი.

თეატრის მატიანე

—

პოლონელ მწერალის ბალუცკის პიესებს ხშირად თამაშობენ რუსულ სცენაზე. მეტადრე ცნობილია მისი პიესა—Денежные тузы. ეხლა ამ ავტორის თხზულებიდგან გადმოუკეთებია ოთხ-მოქმედებიანი კომედია Flirt, რომლისთვისაც «სიყვარულით გართობა» უწოდებია. ეს პიესა ამას წინად პეტერბურგის ერთს თეატრში ითამაშეს. დედა აზრი ამ კომედიისა—ქალის არშიყობაა და მოარშიყესთან ცბიერობა. ქალი მთელ თავის დროს არშიყობას ანდომებს და პირდაპირს მოვალეობას-კი—შვილების აღზრდას ივიწყებს. უმთავრესი მომქმედი ამ კომედიაში მოარშიყე ქალია ცვეტაევი, პროფესორის ცოლი. თავის გასართობლად ის თავს აწონებს და აყვარებს ჯერ ერთ ახალგაზდა ოფიცერს—კუზნაცევს და შემდგ ცოლ-შვილიან მემამულეს ბულგაკოვს. როცა კუბანცევი აღარ ასვენებს, სულ თან დასდევს, ცდილობს, ხელთ იგდოს როგორმე სატრფიალო ქალი ⁊ ამით თავს აბეზრებს, ქალი შეფიქრიანდება და განიზრახავს, კუბანცევი როგორმე მოიშოროს და იმასთან მიწერილი ბარათები დაიბრუნოს. ამ აზრით უნიშნავს დროს, როდესაც მარტონი უნდა შეიყარნენ, ვითომ და სატრფიალოდ. შეიყრებიან კიდეც ერთად, მაგრამ, როდესაც კუბანცევი, სიყვარულით ანთებული, დააპირებს თავის გულის წადილის ასრულებას, ქალი უცახდებს, რომ არ მიყვარხარ, მე მხოლოდ გართობა მინდოდა და იმისთვის გეარშიყებმდიო. გაბრაზებული კუბანცევი ეუბნება ქალს, ან თავი მოიწამლე ან მე თვითონ მოგკლავო. როდესაც კუბანცევმა რევოლვერი დაუმიზნა ქალს, სწორედ ამ დროს შემოვარდება ქალის ბავშვი და ამით თავის დედას იხსნის სიკვდილისაგან.

კომედიაში სხვა მომქმედნიც ამ გვარადვე იქცევენ თავს არშიყობით, ბევრი და ისეთი ახირებული სცენებია, რაც კომედიის-კი არა, ფარსს უფრო შეეფერება: ცხვირ-ცემინება, ფარდის უკან დამალვა და სხვ. კუბანცევი დიდ მონოლოგს ამბობს ქალის არშიყობაზედ და მეორე გმირი—რეცენზენტი სკრიპიცინი ჰქადაგებს, რომ ეხლანდელი ქალი ცოლად არ ვარგაო.

ᲬᲐᲓᲠᲐᲙᲘ

მ. ჩიგორინს, რუსეთის ცნობილ ჭანრაკის მოთამაშეს, ბედმა უმხეთლა: ექვს პარტიიდგან დ. ტარაშმა ოთხი მოუგო. უკანასკნელი პარტია 8 საათს ითამაშეს.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

—

Д. Коровяковъ. Этюды выразительнаго чтенія художественныхъ литературныхъ произведеній. Спб. 1893 г.

ბ-ნმა კოროვიაკოვმა შარშან გამოსცა ერთი წიგნი—Искуство выразительнаго чтенія, რომელიც მოწონებულია ყველა სამოსწავლო უწყებათა-მიერ საწსავლელების ბიბლიოთეკებისათვის.

ეს მეორე წიგნი თითქო დამატებაა პირველ წიგნისა. წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ ამ ბოლოს დროს კარგს მჭერმეტყველურს კითხვას თან-და-თან მეტი უურადღება მიაქცია საზოგადოებამ, ისე-კი არა, როგორც საარტისტო ხელობას, ანუ ერთისა და ორის კაცის განსაკუთრებულს ნიჭს, ან კიდევ სასიამოვნო დროს გასატარებელს საქმესა, არამედ როგორც ხელოვნებას, რომელსაც შესწავლა უნდა.

ამ ახალ წიგნის შედგენაში ავტორი ხელმძღვანელობდა უმთავრესად ბ-ნ ლეგუვეს ნაწერებით ფრანგულს ენაზედ: La lecture en action და L'art de la lecture

ბ-ნ კოროვიაკოვის აზრით, მჭერმეტყველურ კითხვას რომ მიეჩვიოს მოსწავლე, საჭიროა უურადღება მიექცეს წასაკითხ წინადადებას, მუხლებად დაყოფვას (Пунктуація), აზრის გამომხატველობას (Колоритность) და მსმენელთათვის სასიამოვნოდ ხმის ამაღლებ-დადაბლებას (Мелодія)

ყოველივე ეს კარგად არის განმარტებული, დასაბუთებული და მსუბუქის ენით დაწერილი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

ავსტრიაის ჭერეგი ფრანც-ფერდინანდი ამ ყამად ინდოეთში სანადრობს. ამბობენ, რომ ჭერეგს ჯერ-ჯერობით მოუგლაკს 2,793 ტიგი ნადარი. ამითში 5 სპილო, 21 ვეფხი, 1 გარეული კამეჩი, 39 ტიხი და 203 ირემი და აუარებელი ფრანეული.

**

New-York Herald-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

ქალაქის სიდიდეს, რიდესაც დედამიწა ხალხი მიდი-მოდიოდა, ერთი კაცი გადასტეა წყალში. ჯერ წყალში დაიმალა, შემდეგ ამოიყოფ-შემოვა და ერთი უშეველებელი ქოდეა გაშალა, რომელზედაც შეშინებულმა და შემდგ განცვიფრებულმა ხალხმა წაიკითხა: „საუკეთესო კეკეო“ ამა და ამ ადგილს ისეა დებია. ესე ეურაობით კარგი მანძილი გაიარა, მერე გამოვიდა ნაპირს, ჩაჯდა ეტლში და შინისაკენ გასწია.

განცხადება ამისთანა უნდა!

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ოქტომბრის 14-ს, დილით, რკინის გზის საავადმყოფოში 1 ავადმყოფი იყო.

სოფ. საცხენისში ოქტომბრის 12 ს 30 ავადმყოფი იყო.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში 7 ავადმყოფი იყო.

ერევნის გუბერნია

ერევნის გუბერნიაში ხოლერა ძლიერდება.

განჯის გუბერნია

განჯის გუბერნიაში 4 ავადმყოფი იყო.

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

—

ლაქის დაწმენდა. სპარტის ლაქა, რომელიც სადურგლო, სასარაფო და სხვა სადგურებში ბევრი ახმარეს, ზშარად ფუჭდება, ამიკერეკ და შედედდება ხოლმე. ეს ამისაგან მოსდგება ხოლმე, რომ ლაქაში გაკეთების დროს მეკარსნებს მოაკრბებით კეთრეკეთო წყალი.

კეთეკეთებულ ლაქის დასაწმენდად თეკეზის წყაო უნდა წერილად დაიკრას და ლაქაში ჩაიყროს. წყაო წყალს შეასვამს და ლაქა ისეთივე გახდება, როგორც პირველად იყო.

ეს წყაო შეგიძლიანთ ამოიღოთ, გაიშროთ და შემდეგ კიდეკ ახმაროთ ლაქის დასაწმენდად.

—

დამეჭნარი ყავილი როგორ შეიძლება მოაცოცხლოთ. დამეჭნარ ყავილის ფერის სამი მოთხეკი მდუღარე წყალში ჩასდეთ. დამეჭნარი ფურცელი თან-და-თან მოეცოცხლდება. მაშინ ამოიღეთ მდუღარე წყალიდგან, მოსეკრით ფერის ის ნაწილი, რომელიც მდუღარეში იყო ჩაშეკეული, და ცივ წყალში ჩასდეთ. ყავილი სულ ახალს დამეკვესებს.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

—

1900 წელს პარიეში გაიმართება მსოფლიო გამოფენა. ამ გამოფენისათვის ფრანგები ეხლავე ამზადებენ უდიდეს ტელესკოპს. ტელესკოპის სიგძე იქმნება 40 ადელი. ამ ტელესკოპში მთავარე გამოჩნდება სულ 7 ვერსის სიშორეზედ. ტელესკოპი გამართული იქმნება სამი ათას მეტრის სიმაღლეზედ, აგე რომ ტელესკოპიდგან ცქერას ღრუბლები ვერ დაუშლიან.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

13 ოქტომბერი

პეტერბურგი. „რუსალკაზედ“ მეზღვაურთა ოჯახების სასარგებლოდ შესწირეს: მემკვიდრე ცესარევიჩმა—2000 მან., დიდმა მთავრებმა: ალექსი ალექსანდრეს ძემ—4000 მან., გიორგი ალექსანდრეს ძემ—1000 მან. დიდმა მთავრინამ ეკატერინე მიხეილის ასულმა—5000 მან.

ამურის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა გენერალი გროდეკოვი.

გამოცხადდა წესდება „იალბუნის“ საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს შეიმუშაოს ვერცხლ-ტყვიის მადნები ყუბანისა და სუდესის მდინარეთა შორის.

პარიეი. სადღესასწაულო სპექტაკლზედ მოწვეულნი შეიკრიბნენ 8 საათზედ. ადმირალი აველანი რომ მოვიდა, რესპუბლიკელთა გვარდიის ორკესტრმა დაუკრა რუსეთის საერო ჰიმნი; პრეზიდენტ კარნოს მოსვლისას-კი—მარსელეზა. დარბაზი საოცრად იყო მორთული. ადმირალი აველანი ერთ ლოჟაში იყო კარნოსთან. უფრო შესანიშნავი რუსული დიეერტისმენტი იყო და სცენა, ფრანგებმა და რუსებმა ერთმანერთის რომ ხელი გაუწვდინეს. ხორისტებს, რომლებმაც რუსეთის ჰიმნი იმღერეს, იოანე მრისხანეს(Іоаннъ Грозный) დროის ტანთსაცმელი ეცვათ. როცა ჰიმნსა მღეროდნენ, კულისებში ზარბაზანი გაისროლეს და სცენაზედ მშვიდობიანობის ქანდაკება გამოჩნდა, რომელსაც ხელში მწვანე შტო ეჭირა, აღტაცებულმა საზოგადოებამ თანაგრძნობა გამოუცხადა. რუსეთის აფიცრები წამოდგნენ, როცა მარსელეზას მღეროდნენ, ტაში დაჰკრეს და აველანმა დაიძახა: გაუმარჯოს საფრანგეთს. წარმოდგენის შემდეგ აველანი აფიცრებით რკინის გზის სადგურზედ წავიდნენ, რომელიც გაჩირაღდნებული იყო. ადმირალი ყერვე გამოეთხოვა აველანს და მხურვალედ გადაეხვია. ხალხი ეხვეოდა აფიცრებს და ჰყვიროდა: ნახკამდის, გაუმარჯოს რუსეთს!

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. თამბაქოს მწარმოებელთა კრებამ გადასწყვიტა მიეცეს შელავათი თამბაქოს პლანტაციების იმ პატრონებს, რომელნიც ქარხნებს გაჰმართავენ. განზრახვა აქვთ შემოღონ ბანდეროლიან წეკოს გაყიდვა, კონად შეკრული.

ᲕᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 12 ოქტომბ.

	მოდგენილის	ᲒᲐᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲐᲚᲘ	ᲒᲐᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲐᲚᲘ
	ᲛᲐᲜ.	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐᲠ.
ᲮᲣᲗ-ᲛᲐᲜᲐᲛᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲛᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲜᲘᲐᲜᲘ	7,84	7,767	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲚᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲠᲩᲚᲘᲡ ᲧᲣᲚᲘ	152¾	153¾	— ,,
5% ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲒᲒᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲚᲘᲐᲜᲘ	— ,,	— ,,	— ,,
ᲛᲔᲠᲩᲘᲡ	— ,,	— ,,	241¾
4% ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	216½	— ,,	— ,,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲨᲘ ᲜᲐᲣᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ	— ,,	— ,,	— ,,
ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲠᲗᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ: 6%	— ,,	— ,,	192½
5%	— ,,	100½	— ,,
4%	— ,,	99	— ,,
ᲥᲣᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6%	— ,,	100¼	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
5% ᲝᲑᲚᲝᲒᲘᲐ. ᲢᲤᲘᲠᲗᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲥᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ	— ,,	98¼	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲛᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩაქანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. Გ. ᲠᲣᲓᲒᲝᲕᲡᲙᲘ, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. Ფ. ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩ, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ს. Ბ. ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲐ, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. Გ. ᲩᲣᲨᲣᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ᲒᲣᲠᲒᲝ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½ საათამდის.

Ჟ. Ო. ᲤᲠᲐᲜᲪᲔᲕᲣᲡᲘ, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა Ე. ᲢᲠᲐᲨᲔᲜᲘᲡᲐ.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუკეთესო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსს) ფუთს.

Ревель **Д. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები მსურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

Доз. ценз. Тифлисъ, 14-го Октября 1893 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲞᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ